გაᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

7-20 თებერვალი 2022

7 მარტი 2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312 პოლიტიკის მეცნიერებები დამოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | 23.04.2019, №102 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი მანველიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 23 აპრილს №102 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში შპს კავკასიის უნივერს-იტეტის „დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგსიტრო საგანმანათლებ-ლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 1-20 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე. დაწესებულებამ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ძირითადად გაითვალისწინა 2019 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა **სრულად შეესაბამება** აკრედიტაციის შესაფასებლად წარმოდგენილ 3 სტანდარტს:

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის
შესაბამისობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია მოხდეს პროგრამის სწავლის მიზნების რეფორმულირება რომ ის იყოს მკაფიო და გაზომვადი.
2. სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გამეორება.
3. სასურველია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო გამოცდილება.
4. სასურველია სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
5. სასურველია, დაზუსტდეს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა;

6. საჯარო მმართველობის მიმართულება შესაძლებელია შეთავაზებული იქნას თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში და არ გამოიკვეთოს როგოროც ცალკე კონცენტრაცია, რაც მეტად რელევანტურია მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში;
7. სასურველია, კონცენტრაციების ფარგლებში დაზუსტდეს არჩევითი სასწავლო კურსების წინაპირობები. თითო კონცენტრაციის შემთხვევაში სავალდებულო საგნის/საგნების განსაზღვრა ხელს შეუწყობდა მასალის მეტად ეფექტიან ათვისებას.
8. „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსში სასურველია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება საბაკალავრო საფეხურის სილაბუსისგან;
9. რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის შინაარსობრივი დამთხვევების გადამოწმება;
10. ყურადღება მისაქცევია სავალდებულო ლიტერატურის განახლების საკითხზე იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც განიხილება მიმდინარე და/ან ხშირად ცვალებადი პროცესები.
11. საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებთან დადარების შედეგად სასურველია, დაზუსტდეს სწვალება-სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სამაგისტრო საფეხურზე

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის მიზნები. გათვალისწინებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის შესაბამისი დონე, ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით. განისაზღვრა პროგრამის 5 მიზანი. დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რომელიც:<br>✓ 1. **აღწერს** დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებს, თეორიებს, ანალიზის მოდელებს და პრაქტიკას.<br>✓ 2. **აანალიზებს** საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორთა როლსა და ადგილს, აფასებს და განასხვავებს სახელმწიფო და არასახელმწიო აქტორთა პოლიტიკურ დღისწესრიგს, ინტერესებს.<br>✓ 3. კვლევის შესაბამისი მეთოდის, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით **ახდენს** მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, კრიტიკულ ანალიზსა და სინთეზს და აყალიბებს დასკვნებს, რომელშიც აისახება პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობები.<br>✓ 4. **ახდენს** პროფესიული ცოდნის ეფექტურ წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, მათ შორის, უცხო ენაზე.<br>✓ 5. **წვლილი შეაქვს** პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში და დამოუკიდებლად განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.<br>ჩამოთვლილი მიზნები ძირითადად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თუ რა თეორიულ ცოდნას, უნარებს და უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ კურსდამთავრებულს მოამზადებს აღნიშნული პროგრამა, და აქედან გამომდინარე თუ რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის და საზოგადოების განვითარებაში.<br>წარმოდგენილი მიზნები სწავლის შედეგის კონტექსტით ზოგადად ასახავს რომ პროგრამის მიზანი სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნის გადაცემაა და დარგობრივ ჭრილში შესაბამისი უნარების განვითარებაა. აქედან გამომდინარე სასურველია მოხდეს პროგრამის სწავლის მიზნების რეფორუმლირება რომ ის იყოს მკაფიო და გაზომვადი. |

| |
|---|
| სამაგისტრო პროგრამის დანართი მოიცავს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკას, თუმცა სასურველია მისი რეფორმულირება მიზნების რეფორმულირების შესაბამისად, რომ მკაფიოდ გამოჩნდეს ურთიერთკავშირი კომპეტენციებსა და მიზნებს შორის.<br>საგანმანთლებლო პროგრამის და თვითშეფსების დოკუმენტის მიხედვთ კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.<br>თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამაში წარდგენილი კომპონენტების ერთობლიობა, ძირითადად, იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.<br>წარმოდგენილ დოკუმენტში - დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შედარება (benchmarking) უცხოურ პროგრამებთან, მიხედვით მოცემული პროგრამის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და სტანდარტთან შედარების მიზნით (banchmarking) შერჩეულ იქნა ევროპისა და აშშ-ის 3 უნივერსიტეტი. უნივერსიტეტები შერჩეულ იქნენ პროგრამის სახელის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლების დონის და პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტში არ ჩანს რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება. დადარების დოკუმენტის მომზადებულია პროგრამების სტრუქტურის მიხედვით. აქედან გამომდინარე სასურველია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო გამოცდილება.<br>პროგრამა კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს პროფესიული კარიერა და დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო დაწესებულებებში ან მათ სტრუქტურულ ერთეულებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ა.შ. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში<br>2. დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>3. დოკუმენტი - დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შედარება (benchmarking) უცხოურ პროგრამებთან<br>4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის დასახელება დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები 2019 |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია მოხდეს პროგრამის სწავლის მიზნების რეფორმულირება რომ ის იყოს მკაფიო და გაზომვადი.<br>სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გამეორება.<br>სასურველია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო გამოცდილება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის შედეგები: გათვალისწინებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის შესაბამისი დონე ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით. განისაზღვრა 8 სწავლის შედეგი. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა რვა შედეგი:<br>**ცოდნა-გაცნობიერება**<br>1. **აღწერს** საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემურ და ინტერდისციპლინურ სურათს;<br>2. **აღწერს** საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე. ანსხვავებს აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივებს, მიზნებს და ურთიერთქმედების შესაძლო ფორმებს. აცნობიერებს ამ ურთიერთობებში დიპლომატიისა და ძალის მნიშვნელობასა და როლს.<br>3. **აღწერს** საქართველოს ადგილსა და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; ესმის საქართველოს ინტერესები და მათი რეალიზაციის სხვადასხვა საშუალებები.<br>**უნარი**<br>4. **იდენტიფიცირებას ახდენს** და ინტეგრირებული მიდგომითა და თეორიული ჩარჩოს გამოყენებით **აანალიზებს** და **კრიტიკულად იაზრებს** საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ საკითხებს; **განასხვავებს** აქტორთა საზოგადო, ეროვნულ და კერძო ინტერესს, **შეიმუშავებს** ამ ინტერესის დამცველ ან კრიტიკულ პოზიციას.<br>5. **სწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციასა და უნარებს შეუსაბამებს** დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და იყენებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.<br>6. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და |

მიდგომების გამოყენებით; აანალიზებს განყენებულ მონაცემებს, მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და უკავშირებს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევას.

7. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ შესაბამისი ფორმატის კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

8. გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს კომპლექსურ გარემოში, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.

მოცემულ სწავლის შედეგები მოითხოვს ტექნიკურ-ორგანიზაციულ და შინაარსობრივ დაზუსტებას, რომ იყოს მკაფიო, გაზომვადი და სირთულის მიხედვით სწავლების საფეხურის შესაბამისი. პროგრამის სწავლის შედეგები ცოდნა გაცნობიერების ნაწილში თავის სირთულით და შინაარსით და გამოყენებული აქტიური ზმნებით სუსტად შეესაბამება სწავლების მოცემული საფეხურის დოენს. კერძოდ:

სწავლის შედეგები:

1. **აღწერს** საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემურ და ინტერდისციპლინურ სურათს;

2. **აღწერს** საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე. ანსხვავებს აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივებს, მიზნებს და ურთიერთქმედების შესაძლო ფორმებს. აცნობიერებს ამ ურთიერთობებში დიპლომატიისა და ძალის მნიშვნელობასა და როლს.

3. **აღწერს** საქართველოს ადგილსა და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; ესმის საქართველოს ინტერესები და მათი რეალიზაციის სხვადასხვა საშუალებები.

კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონე მოითხოვს რომ სწავლის შედეგში ჩანდეს ,,სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

სწავლის 1 შედეგი ასევე ბუნდოვანია და დაზუსტებას მოითხოვს. ამ ნაწილში - ,,**აღწერს** საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემურ და ინტერდისციპლინურ სურათს“, ამ ნაწილში დასაზუსტებელია პოლიტიკის ცნება ეს არის სადავო, ვინაიდან თუ მივიჩნევთ რომ პოლიტიკა ცალკე ცნებაა ეს ცალკე კვალიფიკაციის სფეროა, მეორე, ასევე გაურკვეველია ღრმა და სისტემური სურათის აღწერის კონტექსტი.

სწავლის შედეგში - 4 : ,,**იდენტიფიცირებას ახდენს** და ინტეგრირებული მიდგომითა და თეორიული ჩარჩოს გამოყენებით **აანალიზებს** და **კრიტიკულად იაზრებს** საერთაშორისო პოლიტიკის **კომპლექსურ საკითხებს; განასხვავებს** აქტორთა საზოგადო, ეროვნულ და კერძო ინტერესს, **შეიმუშავებს** ამ ინტერესის დამცველ ან კრიტიკულ პოზიციას.“, ცოდნა-გაცნობირების და უნარის ნაწილი კომბინირებულად არის წარმოდგენილი რაც მის გაზომვას გაართულებს, შესაბამისად სწავლის შედეგის ცვლილების საჭირების შემთხვევაში სასწავლო კურსის დონეზე გარტულდები შედეგების მოდიფიკაცია, რადგან რთული იქნება იმის გარკვევა მოდიფიკაცია უნდა შეეხოს ცოდნა გაცნობიერების თუ უნარის ნაწილს.

სწავლის 5 შედეგში - 5. **სწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციასა და უნარებს** შეუსაბამებს დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და იყენებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის, დაზუსტებას

მოითხოვს წინადადების კონტექსტი **,,სწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციასა და უნარებს შეუსაბამებს“,** გაურკვეველია რა ინფორმაციასა და უნარებზეა აქ საუბარი.

სწავლის 7 შედეგი - ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ შესაბამისი ფორმატის კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან. ამ შედეგში გაურკვეველია თუ რაში სჭირდება კურსდამთავრებულს კომუნიკაცია არასპეციალისტთან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ.

ასევე აუცილებელია სწავლის 8 შედეგის რეფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 დონის შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში ასევე გაწერილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსები.

დიპლომატიის საერთაშორისო ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირადპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების დროს გათვალისწინებულია დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები 4 წლიანი ციკლის განმავლობაში. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით (E - საკმარისი) I კურსზე და 59 და მეტი ქულით (E - საკმარისი) II-IV კურსზე, იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი; ან ჯგუფის საშუალო ქულა არანაკლებ 80%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც სულ ცოტა ერთი შედეგი აქვთ საერთო. პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 80%-ს. სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების პროცესი ეფუძნება თითოეულ სასწავლო კურსში შესაბამის შედეგზე დაკვირვებას, განისაზღვრება შეფასების რომელი კომპონენტებით ფასდება თითოეული მათგანი, მაგალითად, ქვიზით, ტესტირებით, შუალედური გამოცდით, რეფერატით, პრეზენტაციით, დასკვნითი გამოცდით და სხვა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირადპირი მეთოდის ინსტრუმენტებია: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით; დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით). აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები. შეფასების მექანიზმებში ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გრაფიკი და ის სწავლების საფეხურის ოთხივე აკადემიურ წელს მოიცავს.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ

| |
|---|
| კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის კვალიფიკაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში<br>2. დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>3. დოკუმენტის - დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ<br>4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის დასახელება დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები 2019 |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>1. სასურველია სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობებზე ინფორმაცია განთვასებულია პროგრამის აღწერილობაში, პროგრამაზე მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სახელმწიფო მართვის სკოლის ვებ გვერდზე.

*პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიპოვება პროგრამის აღწერილობაში, კერძოდ, ჩამოთვლილია შემდეგი დაშვების პირობები:* ა) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; გ) შიდასაუნივერსიტო პროცედურების წარმატებით გავლა, რომელიც შედგება სააპლიკაციო პაკეტის მიღების, ენის ფლობის დონის დადასტურებისა და სპეციალობაში ინტერვიუსაგან. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გარდა მოიპოვება დეტალური სააპლიკაციო პაკეტის შემადგენელი კომპონენტების შესახებ.

პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. პოტენციურმა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ამ ცოდნის დადასტურება უნდა შეძლოს დიპლომის დანართით, ან გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირება. ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამების დასრულების შემთხვევაში, აპლიკანტი თავისუფლდება აღნიშნული სერტიფიკატის და ინგლისურში შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების/ტესტირების ვალდებულებისაგან.

სააპლიკაციო პაკეტის შემოწმების შემდგომ აპლიკანტები გადიან გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან, სადაც ვლინდება აპლიკანტის ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვის საკვანძო საკითხების შესახებ, კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარი და პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია.

აპლიკანტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის მიხედვით, რომელშიც 60 ქულას წარმოადგენს ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტის შედეგი, ხოლო 40 ქულა წარმოადგენს მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შედეგს (20 ქულით ფასდება სპეციალობისთვის დამახასიათებელი ცოდნა, ხოლო 20 ქულით აპლიკანტის პრეზენტაბელურობა და სწავლის გაგრძელების მოტივაცია/უნარი). პროგრამაზე სტუდენტის მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლის პროგრამის დირექტორი და სკოლის დეკანი ზემოთ დათქმული პირობების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება სტუდენტის მობილობის შესახებ ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო

| |
|---|
| პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ვებ გვერდზე პროგრამის შესახებ ინფორმაცია: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/programs-csg/graduate-csg/graduate-cg-international-relations |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისგან, სადაც ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 52 კრედიტს, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 38 კრედიტს.<br>დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (დასაშვები ხანგრძლივობაა 5 აკადემიური წელი). სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. სწავლა ასევე შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის სემესტრშიც, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ზაფხულის სემესტრი შედგება 6 სასწავლო კვირისგან, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი.<br>აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში გავთვალისწინებულია კონცენტრაციების შემოთავაზება, კერძოდ, *საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და მშვიდობა*; *რეგიონალიზმი და სექტორული პოლიტიკა* და *საჯარო მმართველობა და თავისუფალი კრედიტი.* ამავე დროს, სასურველია დაზუსტდეს პროგრამის მიერ გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა; ნათლად ჩამოყალიბებული იქნას თავისუფალი კრედიტების მოცულობა როგორც პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საჯარო მმართველობის მიმართულება შესაძლებელია შეთავაზებული იქნას თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში და არ გამოიკვეთოს როგოროც ცალკე კონცენტრაცია, რაც მეტად რელევანტური იქნებოდა პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში. |

| |
|---|
| დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ასევე მოიცავს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით. სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში დარეგისტრირება და თემის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ მინიმუმ 87 კრედიტის დაფარვის შემდეგ. მისასალმებელია, რომ ამ მოთხოვნის გარდა სტუდენტს დადებითი შეფასება მიღებული უნდა ჰქონდეს შემდეგ საგნებში: „კვლევის მეთოდები“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“. სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, სამაგისტრო ნაშრომზე რეგისტრაციის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი თვისა, რისთვისაც ხელახლა უნდა გაფორმდეს განაცხადის ფორმა ახალი თარიღით.<br>ზემოთ აღნიშნულის გარდა, ყურადღება მისაქცევია სასწავლო კურსების წინაპირობებს, რომელიც უზრუნველყოფს შემოთავაზებულ სასწავლო კურსებს შორის კონცეფტუალურ ბმას. მაგალითად, „საერთაშორისო უსაფრთხოების“ სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია წინაპირობად განისაზღვროს „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“. ასევე, სასურველია დაზუსტდეს წინაპირობები არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სასწავლო კურსების უმეტესობის შემთხვევაში. კონცენტრაციების შიგნით სავალდებულო საგნების განსაზღვრა (არაუმეტეს 10 კრედიტისა) ხელს შეუწყობდა სტუდენტის მიერ შემოთავაზებული მასალის მეტად ეფექტიან ათვისებას.<br>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპლექსურობა, ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურით და კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ სასურველია, დაზუსტდეს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა;<br>○ საჯარო მმართველობის მიმართულება შესაძლებელია შეთავაზებული იქნას თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში და არ გამოიკვეთოს როგორც ცალკე კონცენტრაცია, რაც მეტად რელევანტურია მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში;<br>○ სასურველია, კონცენტრაციების ფარგლებში დაზუსტდეს არჩევითი სასწავლო კურსების წინაპირობები. თითო კონცენტრაციის შემთხვევაში სავალდებულო საგნის/საგნების განსაზღვრა ხელს შეუწყობდა მასალის მეტად ეფექტიან ათვისებას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ## 2.3. სასწავლო კურსი |

| |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც დადგინდა შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს, სწავლების ფორმატს და კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ძირითადად ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი.<br>ამავე დროს ხაზგასასმელია, რომ რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის შინაარსობრივი დამთხვევების გადამოწმება, მაგალითად საბაკალავრო დონეზე სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი ეკონომიკაში“ - სამაგისტრო საფეხური - „ეკონომიკა“; საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე „საბაკალავრო ნაშრომი“ და „სამაგისტრო ნაშრომი“ (განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო ნაშრომი ითვლება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტად, საბაკალავრო ნაშრომი კი სასწავლო კომპონენტის ნაწილია); საბაკალავრო საფეხური - „კვლევის მეთოდები“ (სავალდებულო) - სამაგისტრო დონეზე - „კვლევის მეთოდები“ სავალდებულო; „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტის“ და „საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიების“ არჩევითი სასწავლო კურსები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე იდენტური შინაარსისაა, რასაც საჭიროებს გადამოწმებას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.<br>სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია საკვანძო როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადად, სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, დაეუფლოს დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლას და შემდგომ დისციპლინაში არსებული კვლევების და მიღწევების კრიტიკულ და სისტემატიურ შეფასებას, ასევე კვლევითი პროექტის (სამაგისტრო ნაშრომის) დაგეგმვას და განხორციელებას. ამავე დროს, სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება რიგ სავალდებულო სასწავლო კურსებში, მაგალიტად, „კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები“, „ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობების“. აღნიშნული სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა აღმოიფხვრას გადაფარვები საბაკალავრო საფეხურის მსგავსი თემატიკის სასწავლო კურსთან. „აკადემიური წერის“ სასწვლო კურსის სილაბუსში სასურველია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება საბაკალავრო საფეხურის სილაბუსისგან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ „აკადემიური წერის“ სასწვლო კურსის სილაბუსში სასურველია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება საბაკალავრო საფეხურის სილაბუსისგან;<br>○ რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის შინაარსობრივი დამთხვევების გადამოწმება;<br>○ ყურადღება მისაქცევია სავალდებულო ლიტერატურის განახლების საკითხზე იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც განიხილება მიმდინარე და/ან ხშირად ცვალებადი პროცესები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
